სტრატეგია	**კვლევის განვითარების სტრატეგია**
დამტკიცებულია	აკადემიური საბჭოს მიერ
დამტკიცებისოქმისნომერი და თარიღი	დადგენილება #
დოკუმენტის ცვლილების ოქმის ნომერი და თარიღი	
ცვლილების მიზეზი	

1. პრეამბულა

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - „უნივერსტეტი“) კვლევის განვითარების სტრატეგია ეფუძნება უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონს, უნივერსიტეტში მოქმედ მარეგულირებელ დოკუმენტაციას, უნივერსიტეტის მისიასა და 2018-2024 წლის სტრატეგიული განვითარების გეგმას. წინამდებარე დოკუმენტით უნივერსიტეტი წარმოადგენს ხედვას, თუ როგორ წარმოუდგენია კვლევის განხორციელება, ხელშეწყობა და განვითარება.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აცნობიერებს რა საზოგადოების წინაშე მაღალ სოციალურ პასუხისმგებლობას, მიზნად ისახავს თავისი საქმიანობით წვლილი შეიტანოს ქვეყნის განვითარებაში, რისთვისაც ახორციელებს მთლიანად ქვეყნის, და განსაკუთრებით, იმერეთის რეგიონის განვითარების პოლიტიკისა და პროცესების ხელშემწყობ კვლევით საქმიანობას. საკუთარი მრავალფეროვნების (ფაკულტეტები/პროგრამები/კვლევითი ინტერესები/ პოტენციალის) გათვალისწინებით, უნივერსიტეტის მიმდინარე კვლევითი პრიორიტეტებია **ინტერდისციპლინარული და რეგიონული კვლევების** განხორციელება, კვლევის შედეგების სრულფასოვანი ინტეგრირება სწავლება/სწავლის პროცესში, რისი წარმატებით რეალიზებისათვის უსდ მოწოდებულია ითანამშრომლოს ადგილობრივ (ქართული უნივერსიტეტები, საჯარო სექტორი, ბიზნეს-ორგანიზაციები, არასამთავრობო სექტორი, კერძო პირები) და საერთაშორისო (პარტნიორი უნივერსიტეტები და კვლევითი ცენტრები, საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები, საუნივერსიტეტო გაერთიანებები და ა.შ.) პარტნიორებთან.

2. სტრატეგიის მიზანი

კვლევის განვითარების სტრატეგიის მიზანს წარმოადგენს უნივერსიტეტში კვლევასთან დაკავშირებული მიდგომების განსაზღვრა, სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალში კვლევითი აქტივობის განვითარების ხელშეწყობა და ამ აქტივობებეზე პასუხისმგებელი ორგანოების/პირების იდენტიფიცირება, ასევე აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის, როგორც კვლევითი უნივერსიტეტის, ავტორიტეტისა და ცნობადობის ზრდა, რეგიონალური და საერთაშორისო მასშტაბით.

3. სტრატეგიის შემუშავება, დამტკიცება და განხორციელება

წინამდებარე დოკუმენტი შემუშავდა უნივერსიტეტის რექტორის მოადგილის, კვლევის მხარდაჭერისა და განვითარების ცენტრისა (შემდგომში - „ცენტრი“) და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლობით. დოკუმენტის შექმნაში მონაწილეობდნენ უნივერსიტეტში მოქმედი ყველა ფაკულტეტისა და თვითშეფასების ჯგუფის წარმომადგენლები. დოკუმენტზე მუშაობის პროცესი იყო გამჭვირვალე, საჯარო და მასში მონაწილეობის მიღება შეეძლო ნებისმიერ დაინტერესებულ პირს.

დოკუმენტს ამტკიცებს აკადემიური საბჭო შესაბამისი დადგენილებით და მის აღსრულებაზე პასუხისმგებელ პირებად განისაზღვრება უნივერსიტეტის/ფაკულტეტების ადმინისტრაცია და კვლევის მხარდაჭერისა და განვითრების ცენტრი.

სტრატეგიით განსაზღვრული მიდგომების, ხედვის და კვლევის განხორციელებისათვის თანმხლები სხვა პროცედურები და გადასადგმელი კონკრეტული ნაბიჯები რეგულირდება უნივერსიტეტის კვლევის პოლიტიკით, სტრატეგიული განვითარების გეგმითა და დაწესებულებაში მოქმედი სხვა მარეგულირებელი დოკუმენტებით.

4. სტრატეგიის ძირითადი პრინციპები

მისიიდან გამომდინარე, უნივერსიტეტი მოწოდებულია განახორციელოს ინოვაციური ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევები, რომლებიც მიიღწევა ოთხი ძირითადი რგოლის ჩართულობით:

- უნივერსიტეტი;
- ინდუსტრია და ბიზნესი;
- სახელმწიფო მმართველობა და საჯარო სექტორი;
- სამოქალაქო საზოგადოება.

ამასთან, კვლევების მაღალპროდუქტიულობისა და სახელმწიფოებრივ თუ საზოგადოებრივ განვითარებაში პრაქტიკული წვლილის მრავალმხრივ შეტანის მოტივაციის გათვალისწინებით, შესაბამისი პარტნიორული ურთიერთობების ფორმირებისა და განვითარების მთავარი მამოძრავებელი რგოლია ფაკულტეტი, როგორც ძირითადი აკადემიური სტრუქტურული ერთეული. შესაბამისად, კვლევის განვითარების სტრატეგიის ძირითადი **პრინციპები** უნივერსიტეტში ეფუძნება მართვის ***დეცენტრალიზაციასა*** და შემდგომი განვითარებისადმი ***სისტემურ*** მიდგომას.

4.1. დეცენტრალიზაცია

დეცენტრალიზაციის პროცესი უნივერსიტეტში მოიცავს მართვისა და გადაწყვეტილებების მიღების თვალსაზრისით პასუხისმგებლობის, შესაძლებლობებისა და უფლება-მოვალეობების ცენტრალური რგოლებიდან, სწავლა-სწავლებისა და კვლევითი საქმიანობის განმახორციელებელ სუბიექტებზე _ ფაკულტეტებზე გადატანას.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოზიცია და ხედვა ეფუძნება ფაკულტეტებისათვის მოქმედების ფართო ჩარჩოს შეთავაზებას, რათა მათ შეძლონ საკუთარი საჭიროებების ზუსტი იდენტიფიცირება, განვითარებისათვის მათზე მორგებული აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება.

ფაკულტეტი არსებული ფაქტობრივი გარემოებების შეფასების საფუძველზე აყალიბებს კვლევით პროფილს, უფლებამოსილია აწარმოოს ფუნდამენტური, გამოყენებითი და შემოქმედებითი კვლევები, დააფუძნოს სამეცნიერო-კვლევითი ერთეულები, მიიღოს გადაწყვეტილება როგორც ფაკულტეტს შიგნით, ასევე ფაკულტეტთაშორისი კვლევითი პროექტების დაფინანსების შესახებ, ხელი შეუწყოს აკადემიურ პერსონალს კვლევების წარმართვაში (მიზნობრივი დაფინანსებით,

სამეცნიერო სტატიების მაღალრეიტინგულ სამეცნიერო გამოცემებში გამოქვეყნების ხელშეწყობითა, ლაბორატორიული აღჭურვილობის შეძენით, საერთაშორისო კონფერენციებზე მივლინებით, სახელმძღვანელოების გამოცემით, კონფერენციების მოწყობით, მკვლევრების ფულადი და არაფულადი ფორმით მხარდაჭერით და ა.შ.) და წაახალისოს სტუდენტთა ჩართულობა კვლევით პროექტებში.

ფაკულტეტი იზიარებს და იცავს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებს და ზრუნავს კვლევის შედეგების სწავლა-სწავლების პროცესში ინტეგრირებაზე.

ფაკულტეტი მონიტორინგს უწევს კვლევითი საქმიანობის ხარისხსა და აფასებს პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობას შესაბამისი კრიტერიუმებითა და ინდიკატორებით. შეფასების დროს ითვალისწინებს უნივერსიტეტში არსებული მარეგულირებელი დოკუმენტაციით გაცემულ რეკომენდაციებს.

4.2 კვლევის განვითარების სისტემური ხელშეწყობა

დეცენტრალიზაციის პოლიტიკის გატარების პარალელურად, უნივერსიტეტი ახორციელებს კვლევის განვითარების სისტემური მხარდაჭერის პოლიტიკას, რომელიც ეფუძნება საუნივერსიტეტო დონეზე ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების, ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე პარტნიორებთან თანამშრომლობისა და კვლევის შედეგების სწავლა/სწავლების პროცესში ინტეგრირების ხელშეწყობას.

კვლევის განვითარების სისტემური ხელშეწყობისათვის უნივერსიტეტი:

- ქმნის დაწესებულებაში სამართლიან, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებზე დაფუძნებულ, სწავლა-სწავლებისა და კვლევისათვის, **პოზიტიურ ორგანიზაციულ კლიმატს** საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით;
- **აფუძნებს სტრუქტურულ ერთეულს** (ამ შემთხვევაში კვლევის მხარდაჭერისა და განვითარების ცენტრი), კვლევითი პროცესის ორგანიზაციული და ტექნიკური მხარდაჭერისა და, განსაკუთრებით, ახალგაზრდა მკვლევარების საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით, რომლის საქმიანობაც რეგულირდება შესაბამისი დებულებით. ცენტრის მიზანია ხელი შეუწყოს კვლევითი აქტივობების განვითარებას აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებში. ცენტრი მხარს უჭერს აკადემიურ პერსონალს შეიმუშაონ პროექტები და მოიპოვონ გრანტები, მოიძიონ პარტნიორები, აღმოაჩინონ ახალი შესაძლებლობები და მიმართულებები კვლევის ნებისმიერ სფეროში, იდენტიფიცირებას უწევს ორგანიზაციის კვლევით საჭიროებებს და წარუდგენს შესაბამის რეკომენდაციებს უნივერსიტეტის მართვის ორგანოებს, გეგმავს და ახორციელებს აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით სხვადასხვა აქტივობებს და ა.შ;
- **ინტერნაციონალიზაციისა და ადგილობრივ დონეზე თანამშრომლობის** გაძლიერების მიზნით ამყარებს კავშირებს სხვადასხვა სასწავლო ორგანიზაციებთან, ხელს უწყობს უნივერსიტეტის ჩართულობას კვლევით ქსელებში და ახალისებს ფაკულტეტთაშორის, რეგიონულ და ინტერდისციპლინურ კვლევებს;
- არის **აკადემიური კეთილსინდისიერების** პრინციპების დამცველი და ატარებს პერიოდულ ღონისძიებებს უნივერსიტეტი, პლაგიატისა და აკადემიური არაკეთილსინდისიერების წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით. აქცენტს აკეთებს

საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებაზე, პრევენცირებასა და დეტექციაზე, ვიდრე დასჯასა და სანქცირებაზე;

- ახორციელებს **აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების** ხელშემწყობ ღონისძიებებს, ცენტრის მხრიდან შემოთავაზებული რეკომენდაციებისა ან/და სხვა სახის ექსპერტული შეფასების მიღების საფუძველზე;
- ხელს უწყობს **კვლევის შედეგების** სწავლა/სწავლების პროცესში **ინტეგრირებას** და სტუდენტების ჩართულობას სხვადასხვა კვლევით პროექტში;
- **მიზნობრივი დაფინანსებით** ქმნის პირობებს შიდასაუნივერსიტეტო სივრცის კვლევის განვითარების ხელმშემწყობ სივრცედ ჩამოყალიბებისთვის;
- მხარს უჭერს ინოვაციურ კვლევებსა და **კვლევით ინიციატივებს,** განსაკუთრებით დოქტორანტთა ჩართულობითა და ახალგაზრდა მკვლევრების ხელშეწყობით.

მონიტორინგი და შეფასება

უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, კვლევის მხარდაჭერისა და განვითარების ცენტრთან ერთად, ახორციელებს კვლევის განვითარების სტრატეგიის მონიტორინგსა და მიმდინარე პროცესების შეფასებას. პროცესის მონიტორინგისა და შეფასების ნაწილში უნივერსიტეტი მიჯნავს კვლევითი აქტივობების ხარისხობრივ და ტექნიკურ შეფასებას.

კვლევის ხარისხის შეფასება

- ფუნდამენტური, გამოყენებითი და შემოქმედებითი კვლევების ხარისხობრივ შეფასებას ახორციელებენ უშუალოდ ის სუბიექტები (ფაკულტეტი, კვლევითი ერთეული) რომელთა ქუდქვეშაც ხორციელდება აღნიშნული აქტივობა;
- კვლევის პროდუქტიულობის ხარისხის შეფასების კრიტერიუმებს განსაზღვრავს ფაკულტეტი სამართლიანი და გამჭვირვალე პროცედურებით;
- კვლევის პროდუქტიულობის ხარისხის შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბებისას, ფაკულტეტი ითვალისწინებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და საერთაშორისო რეკომენდაციებს.

კვლევის განვითარების პროცესის მონიტორინგი და ტექნიკური შეფასება

- კვლევის პროცესის მონიტორინგსა და ტექნიკურ შეფასებას ახორციელებს კვლევის მხარდაჭერისა და განვითარების ცენტრი უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, ფაკულტეტებსა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან თანამშრომლობით;
- ცენტრი უფლებამოსილების ფარგლებში აგროვებს, აჯგუფებს და აღწერს მიღებულ ინფორმაციას, ახორციელებს ოპერაციულ კვლევებს და შესაბამის რეკომენდაციებს წარუდგენს უნივერსიტეტის მართვის ორგანოებს;

სტრატეგიით განსაზღვრული პრინციპების დაცვა სავალდებულოა უნივერსიტეტთან აფილირებული აკადემიური პირებისა და სტუდენტებისათვის, როგორც დაწესებულებაში, ასევე ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელით განხორციელებულ კვლევითი აქტივობის შემთხვევაში.